

ქალი, როგორც ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი
თანამედროვე ქართულ ოჯახში

მაია ჩეკურიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ემზარ ჯგერენაია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

1. აბსტრაქტი -----	3
2. შესავალი-----	4
3. საკითხის აქტუალობა და კვლევის საჭიროება-----	4
4. ლიტერატურის მიმოხილვა-----	6
5. კვლევის მიზნები და ამოცანები-----	12
6. კვლევის მეთოდოლოგია-----	13
7. კვლევის შედეგები-----	15
7.1.ინფორმირებულობა ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის შესახებ-----	15
7.2.ფინანსური დამოკიდებულება და ქალის როლი ოჯახში-----	23
7.3.ოჯახის უფროსი და გადაწყვეტილების მიმღები-----	29
7.4.წინააღმდეგობის გაწევა ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობის შემთხვევაში-- -----	35
7.5.დასაქმება და ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება ოჯახში-----	41
7.6.ოჯახში ორივე წევრის დასაქმება-----	47
7.7.ოჯახში ძალადობა ოჯახის შიგნით რჩება-----	53
7.8.თუ ქალს არ აქვს შემოსავალი-----	61
7.9. რესპონდენტების მიერ პრობლემების გადაჭრისთვის შემოთავაზებული რეკომენდაციები-----	66
8. დასკვნები და რეკომენდაციები-----	67
9. კვლევის ძირითადი შედეგები და ტენდენციები -----	75
10. დისკუსია -----	77
11. ბიბლიოგრაფია -----	79
12. დანართი-----	81

აბსტრაქტი

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის შესწავლა თუ რამდენადაა ოჯახში ეკონომიკური ფაქტორი სტატუსისა და გენდერული როლების განმსაზღვრელი, ამასთანავე რამდენად განაპირობებს მამაკაცზე ფინანსური დამოკიდებულება ქალზე ფსიქოლოგიურ ძალადობას. ნაშრომში საკითხის შესასწავლად გამოვიყენეთ სოციალური მეცნიერებების თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუ და ონლაინ გამოკითხვა. კვლევამ თვისებრივი მეთოდის ფარგლებში მოიცვა 40 ინტერვიუ, 20 თბილისში და 20 რესპონდენტი კახეთში.

კვლევა გვაჩვენებს, რომ ქართულ ოჯახში და მთლიანად საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის საკითხი ჯერ კიდევ მწვავე პრობლემაა. მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, გენდერული სტერეოტიპები კვლავაც განსაზღვრავს პიროვნების ქცევას, მოვალეობებს და პრივილეგიებს. ტრადიციული ღირებულებები ჯერ ისევ მყარია და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოციალურ ქცევას. ფსიქოლოგიური ძალადობა თითქმის ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, რაც განხილულია როგორც მეუღლეზე ზეწოლა, დათრგუნვა და მისი უფლებების შეზღუდვა. ეკონომიკურ ძალადობა, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ეს არის შემთხვევა, როდესაც მამაკაცი თვითონ განაგებს ოჯახის ფინანსურ საკითხებს და ამით ქალზე მანიპულირებს. ვვარაუდობდით, რომ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული იქნებოდა და ახალგაზრდებს გენდერული თანასწორობის ღირებულებისადმი უფრო მეტი მიმდებლობა ექნებოდათ, თუმცა ჩატარებული კვლევის მონაცემებით მხოლოდ თბილისის შემთხვევაში გამართლდა ჩვენი ჰიპოთეზა. რაც შეეხება კახეთში არსებულ სიტუაციას, როგორც ასაკოვანი რესპონდენტები, ასევე ახალგაზრდები მნიშვნელოვნად არიან სტერეოტიპების გავლენის ქვეშ მოქცეულები. თუ ქალის ეკონომიკური მდგომარეობა უთანაბრდება ან მეტია მამაკაცის შემოსავალზე მაშინ ქალის სტატუსი და როლი ოჯახში მყარია. ის ქალები კი, რომელთა შემოსავალიც მამაკაცისაზე ნაკლებია, უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი და მათი როლი ოჯახის ფინანსური რესურსების მართვაში ნაკლებია.